იურიდიული დახმარების სამსახური

მის: თამარ მეფის გამზ. №14, 0112
თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 34 „27" „ იანვარი " 2016 წ.

„,,მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის #25 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„,,მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის #25 გადაწყვეტილების მე–5 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შევიდეს ცვლილებები და დამატებები „ „მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის #25 გადაწყვეტილებაში, კერძოდ,

ა) გადაწყვეტილების მე–4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, ბიურო/საკონსულტაციო ცენტრი, რიგითობის წესის შესაბამისად ტელეფონის მეშვეობით უკავშირდება რეესტრის ადვოკატს სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო

არასრულწლოვნის საქმეში ადვოკატის ჩართვის შემთხვევაში, სიით მომდევნო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ ადვოკატს. თუ ადვოკატმა უარი განაცხადა საქმეში ჩართვაზე, ან ვერ მოხერხდა მასთან დაკავშირება, ბიურო/საკონსულტაციო ცენტრი უკავშირდება სიით მომდევნო ადვოკატს, ხოლო არასრულწლოვნის საქმეში ადვოკატის ჩართვის შემთხვევაში, სიით მომდევნო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ ადვოკატს.

ბ) გადაწყვეტილების დანართი #10–ის წინასწარი გამოძიება/გამოძიების, პირველი ინსტანციის, აპელაციისა და კასაციის გრაფებს დაემატოს 2^1 პუნქტი:

2^1. საპროცესო შეთანხმების შესახებ განცხადების მომზადება და წარდგენა(აღნიშნული დოკუმენტი ერთ ს/ს საქმეზე ექვემდებარება მხოლოდ ერთჯერად ანაზღაურებას).	10	10	10

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე: ეკატერინე ფოფხაძე

თავმჯდომარის მოადგილე: ხათუნა ფურელიანი

საბჭოს წევრები:

ელზა ლეშკაშელი

ბონდო ალასანია

ილია ჭანტურაია

ზაქრო გვიშიანი

ნათია ჩირიკაშვილი